585/1977/2

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

# უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 6 (437)

1977 წლის ივნისი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამოცემა

თბილისი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს
# უწყებები

№ 6 (437) ივნისი 1977 წელი

15640

## შინაარსი


### განყოფილება პირველი

76. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ მეთექვსმეტე მოწვევის მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების პირველი სესიების ჩატარების შესახებ.
77. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის აპარატისა და რესპუბლიკის ადგილობრივი საბჭოების ამოცანების შესახებ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1977 წლის 17 ივნისის სხდომაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლაში მოცემული დებულებებისა და დასკვნების შესაბამისად.
78. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ.
79. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა არასრულწლოვანთა საქმეების კომისიების დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ.
80. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ცხოველებისა და ფრინველებისადმი სასტიკი მოპყრობისათვის პასუხისმგებლობის შესახებ.
81. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოსთან დისციპლინურ საქმეთა კოლეგიის შექმნის შესახებ.

### განყოფილება მეორე

82. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ო. ა. ბიბილეიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
83. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. ი. ვაშაკიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.


კ. მარქსის სახ. საქ. სსრ
საბჭოთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

84. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა პროფესორ ნ. მ. ჯანბერიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

85. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა გენერალ-ლეიტენანტ ვ. ნ. ჯანჯღავას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

86. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. რ. კვარაცხელიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

87. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. შ. ზ. ხეროდინაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

## განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში,
საინფორმაციო ცნობები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## განყოფილება პირველი
## დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

# 76 საქართველოს სსრ მეთექვსმეტე მოწვევის მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების პირველი სესიების ჩატარების შესახებ

საქართველოს სსრ მეთექვსმეტე მოწვევის მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების პირველი სესიების ორგანიზებულად ჩატარების მიზნით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების პირველი სესიები ჩატარდეს 1977 წლის 21 ივნისიდან 3 ივლისამდე.

2. მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო და ქ. თბილისის რაიონული საბჭოების პირველი სესიებისათვის რეკომენდებულ იქნეს შემდეგი დღის წესრიგი:

ა) მშრომელთა დეპუტატების საბჭოს სამანდატო კომისიის არჩევა;

ბ) მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის არჩევა;

გ) აღმასრულებელი კომიტეტის სამმართველოების, განყოფილებების, საგეგმო კომისიის, საგზაო-საექსპლუატაციო უბნის, აღმასკომთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის შექმნა და მათი უფროსების, გამგეების და თავმჯდომარეების დამტკიცება;

დ) სახალხო კონტროლის კომიტეტის შექმნა, მისი შემადგენლობის დამტკიცება და სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარის დანიშვნა;

ე) მშრომელთა დეპუტატების საბჭოს მუდმივი კომისიების შექმნა და მათი შემადგენლობის დამტკიცება;

ვ) აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული ადმინისტრაციული, სამეთვალყურეო და არასრულწლოვანთა საქმეების კომისიების შექმნა და მათი შემადგენლობის დამტკიცება;

ზ) სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტისა და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების ამოცანების შესახებ, რომლებიც გამომდინარეობენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის მაისის პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებიდან.

3. მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოების პირველი სესიებისათვის რეკომენდებულ იქნეს შემდეგი დღის წესრიგი:

ა) მშრომელთა დეპუტატების საბჭოს სამანდატო კომისიის არჩევა;

ბ) მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის არჩევა;

გ) სკოლების, ბავშვთა სკოლამდელი და სკოლისგარეშე დაწესებულებების, ჯანმრთელობის დაცვის და კულტურის დაწესებულებების, კომუნალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა ხელმძღვანელების დამტკიცება;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) მშრომელთა დეპუტატების საბჭოს მუდმივი კომისიებისა შექმნა და მათი შემადგენლობის დამტკიცება;

ე) სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტისა და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების ამოცანების შესახებ, რომლებიც გამომდინარეობენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის მაისის პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებიდან.

4. დაევალოს მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს:

ა) აღმასრულებელი კომიტეტების რიცხობრივი შემადგენლობა განსაზღვრონ საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული, სასოფლო და სადაბო საბჭოების შესახებ კანონების შესაბამისად; ამასთან, გაითვალისწინონ აღმასრულებელი კომიტეტის შემადგენლობაში ქალების, მუშების, კოლმეურნეების, უპარტიოების და კომკავშირლების არჩევა;

ბ) ჩაატარონ წინასწარი ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობა სესიებზე სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის ფართოდ და საქმიანად განსახილველად. მეტი ყურადღება დაუთმონ შრომითი კოლექტივების, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების საქმიანობის გაუმჯობესების, მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსწორების საკითხებს, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებასა და მეათე ხუთწლედში საბჭოების წინაშე მდგარი ამოცანების წარმატებით გადაწყვეტას;

გ) მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო და ქალაქის რაიონული საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა ინფორმაცია ადგილობრივი საბჭოების სესიებზე სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის განხილვის შედეგების შესახებ წარმოუდგინონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს 1977 წლის 5 ივლისამდე.

5. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საბჭოების მუშაობის საკითხების განყოფილებამ პრაქტიკული დახმარება გაუწიოს მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს პირველი სესიების ჩატარებაში და შედეგების შესახებ მოახსენოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს 1977 წლის ივლისში.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1977 წლის 20 ივნისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**77 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის აპარატისა და რესპუბლიკის ადგილობრივი საბჭოების ამოცანების შესახებ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1977 წლის 17 ივნისის სხდომაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლაში მოცემული დებულებებისა და დასკვნების შესაბამისად**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმების, რესპუბლიკის საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების კონკრეტულ სამოქმედო პროგრამად მიჩნეულ იქნეს ის დებულებები და დასკვნები, რომლებიც მოცემულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლაში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1977 წლის 17 ივნისის სხდომაზე; ამ პროგრამით იხელმძღვანელონ მათ ყოველდღიურ საქმიანობაში, ამასთან, მთელი ორგანიზატორული და პრაქტიკული მუშაობა წარმართონ გამოსვლაში დასახული ამოცანების უთუო შესრულებისათვის.

2. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის აპარატმა:

— მხედველობაში მიიღოს იმ ამოცანების მზარდი მოცულობა და სირთულე, რომლებსაც სახავს პარტია საბჭოების წინაშე და მუშაობის პრესპექტიულ გეგმაში ასახოს წინადადებები რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს, მისი ორგანოების, აპარატის და ადგილობრივი საბჭოების საქმიანობის ძირითადი მიმართულებების შესაბამისად; ამასთან, მხედველობაში მიიღოს იმ ღონისძიებათა თანამიმდევრული და მიზანსწრაფული განხორციელების აუცილებლობა, რომლებიც მიმართულია საბჭოთა მშენებლობის ყველა დარგში მუშაობის გაუმჯობესებისა და სრულყოფისაკენ.

— გააქტიუროს მუშაობა ახალი საკანონმდებლო აქტების მომზადებისათვის, სახალხო-სამეურნეო გეგმებისა და სახელმწიფო ბიუჯეტის რეალიზაციის მდგომარეობის შემოწმებისათვის, გააძლიეროს კონტროლი საკავშირო და რესპუბლიკური კანონების შესრულებისადმი რესპუბლიკის სამინისტროებში, უწყებებში, ორგანიზაციებში, დაწესებულებებში, საწარმოებში, ადგილობრივ საბჭოებში, ამასთან, ამ საქმეში ფართოდ ჩააბას დეპუტატები, უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიები, სპეციალისტები, მეცნიერები, აქტივი.

— მკვეთრად გააუმჯობესოს ადგილობრივი საბჭოების მთელი საქმიანობის ხელმძღვანელობა, უფრო ოპერატიულად წარმართოს სახალხო ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების მუშაობა, ღრმად და კონკრეტულად, სისტემატურად შეისწავლოს, განაზოგადოს და გაავრცელოს საბჭოების, მათი აღმასრუ-

ლებელი კომიტეტების, დეპუტატების, მუდმივი კომისიების მუშაობის დადებითი გამოცდილება, მხარი დაუჭიროს ინიციატივას, საგულისხმო ადგილობრივ სისტემატურად გაუწიოს კონტროლი იმას, რომ საბჭოები რეალურად იყენებდნენ კანონით შინიჭებულ უფლებებს და ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობებს, იცავდნენ ორგანიზაციის და საქმიანობის დემოკრატიულ პრინციპებს.

— გამუდმებით იზრუნოს წარმომადგენლობითი ორგანოების ავტორიტეტის, როლისა და აქტიურობის ამაღლებაზე სახელმწიფო, სამეურნეო-ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული მშენებლობის საკითხების გადაწყვეტაში, სკკპ XXV ყრილობის წინასწარდასახულობათა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად.

— მიაღწიოს იმას, რომ როგორც ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა თავის გამოსვლაში, საბჭოების მუშაობაში უფრო მეტად იგრძნობოდეს „ბრძოლა წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისათვის, პარტიის მიერ დასახული ფართო სოციალური პროგრამის შესრულებისათვის, ჩვენი სოციალისტური დემოკრატიის ყველა მხარის განვითარებისათვის, ესე იგი კომუნიზმის მშენებლობის ამოცანების გადაწყვეტისათვის“.

3. მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო, სადაბო საბჭოებმა და მათმა აღმასრულებელმა კომიტეტებმა:

— აამაღლონ პოლიტიკური და ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის დონე, დღენიადაგ სრულყონ და მჭიდროდ დაუკავშირონ იგი სახელმწიფო, ეკონომიკური და სოციალური მშენებლობის ამოცანების გადაწყვეტას, რომლებიც დასახულია პარტიის XXV ყრლობაზე და ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლაში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე.

— უზრუნველყონ კონსტიტუციური ნორმების განუხრელი დაცვა, საბჭოთა ორგანოების საქმიანობაში სოციალისტური დემოკრატიზმის პრინციპების შემდგომი განვითარება, სრულყოფა და გაღრმავება, მასებთან კავშირის გაფართოება და განმტკიცება, მშრომელთა ფართო ჩაბმა საბჭოების მუშაობაში აქტიური და უშუალო მონაწილეობისათვის, აღმასრულებელ-განმკარგულებელი ორგანოების უთუო სისტემატური ანგარიშგება წარმომადგენლობითი ორგანოების წინაშე, ხოლო წარმომადგენლობითი ორგანოებისა — ამომრჩევლების წინაშე.

— გამუდმებით აამაღლონ სესიების, აღმასრულებელი კომიტეტების სხდომების მომზადებისა და ჩატარების, დეპუტატების, მუდმივი კომისიების მუშაობის დონე, ამასთან, მტკიცედ იხელმძღვანელონ სახელმწიფო ხელმძღვანელობის კოლეგიალურობისა და კოლექტიურობის, ფართო საჯაროობის ურყევი ლენინური პრინციპებით.

— გააძლიერონ ორგანიზატორული მუშაობა ამომრჩეველთა განაწესების შესასრულებლად, დეპუტატების კრიტიკული შენიშვნებისა და წინადადებების განსახილველად, ძირეულად გარდაქმნან მუშაობა მშრომელთა წერილების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვისა და მოქალაქეთა მიღების ორგა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

აიზაციის გაუმჯობესებისათვს, ამასთან, ამ მნიშვნელოვანი საქმისადმი გამოჩინონ განსაკუთრებული გულისხმიერება და ყურადღება, ძირფესვიანად აღმოფხვრან მშრომელთა საჭიროებებისა და მოთხოვნილებებისადმი კანცელარიულ-ბიუროკრატიული დამოკიდებულება.

— მიიღონ ქმედითი ზომები, რათა ამაღლდეს მომთხოვნელობა მართვის აპარატისადმი აღმასრულებელ-განმკარგულებელ ორგანოებში მუშაობის ლენინური, პარტიული სტილის ყველგან დამკვიდრებისათვის, რომელიც გულისხმობს მეცნიერულ მიდგომას წამოჭრილი პრობლემებისადმი, გადიდებულ მომთხოვნელობას, საშემსრულებლო დისციპლინას, საკუთარ გადაწყვეტილებათა და განკარგულებათა, დირექტიული ორგანოების დადგენილებათა მტკიცე და განუხრელად განხორციელებას, კონტროლისა და შესრულების შემოწმების ზუსტ ორგანიზაციას, გამრჯელობას, ინიციატივას, ნაკლოვანებებისადმი, თვითკმაყოფილებისადმი, ბიუროკრატიზმისა და ფორმალიზმის ყოველგვარი გამოვლინებისადმი შეუწყნარებლობას.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1977 წლის 23 ივნისი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 78 საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

„საწარმოსათვის, დაწესებულებისათვის, ორგანიზაციისათვის მიყენებული ზიანის გამო მუშებისა და მოსამსახურეების მატერიალური პასუხისმგებლობის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1976 წლის 13 ივლისის ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

I. შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსში შემდეგი ცვლილებები და დამატებები.

1. კოდექსის 118-ე და 121-ე მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 118.** საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციისათვის მიყენებული ზიანის გამო მუშებისა და მოსამსახურეების მატერიალური პასუხისმგებლობის შეზღუდვა

მუშები და მოსამსახურეები მოვალენი არიან მზრუნველობით მოეპყრონ საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ქონებას და მიიღონ ზომები ზიანის თავიდან ასაცილებლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საწარმოსათვის, დაწესებულებისათვის, ორგანიზაციისათვის შრომითი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანის გამო მუშას ან მოსამსახურეს მატერიალური პასუხისმგებლობა ეკისრება იმ პირობით, თუ ზიანი გამოწვეული იყო მისი ბრალით. ეს პასუხისმგებლობა როგორც წესი, განისაზღვრება მუშის ან მოსამსახურის ხელფასის გარკვეული ნაწილით (მუხლები 119-ე და 120-ე).

ზიანის ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება მხოლოდ პირდაპირი ნამდვილი ზიანი და არა ის შესაძლო შემოსავალი, რომელიც ვერ მიიღეს მიყენებული ზიანის შედეგად.

დაუშვებელია მუშას ან მოსამსახურეს დაეკისროს პასუხისმგებლობა იმ ზიანისათვის, რომელიც შეიძლება მიეკუთვნოს ნორმალური საწარმო-სამეურნეო რისკის კატეგორიას.

საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაცია ვალდებულია შეუქმნას მუშებსა და მოსამსახურეებს აუცილებელი პირობები ნორმალური მუშაობის და მათთვის მინდობილი ქონების სრული დაცვის უზრუნველყოფისათვის".

**„მუხლი 121.** მუშათა და მოსამსახურეთა სრული მატერიალური პასუხისმგებლობის შემთხვევები

სსრ კავშირის კანონმდებლობის შესაბამისად მუშებსა და მოსამსახურეებს საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციისათვის მიყენებული ზიანის გამო, თუ იგი გამოწვეული იყო მათი ბრალით, მატერიალური პასუხისმგებლობა ეკისრებათ სრული ოდენობით შემდეგ შემთხვევებში:

1) როდესაც ზიანი მიყენებულია მუშაკის მოქმედებით, რომელიც შეიცავს ისეთი ქმედობის ნიშნებს, რაც ისჯება სისხლის სამართლის წესით;

2) როდესაც სსრ კავშირის კანონმდებლობის შესაბამისად მუშაკს შრომითი მოვალეობის შესრულებისას დაკისრებული აქვს სრული მატერიალური პასუხისმგებლობა საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციისათვის მიყენებული ზიანის გამო;

3) როდესაც მუშაკსა და საწარმოს, დაწესებულებას, ორგანიზაციას შორის ამ კოდექსის 121[1] მუხლის შესაბამისად დადებულია წერილობითი ხელშეკრულება, რომლითაც მუშაკი კისრულობს სრულ მატერიალურ პასუხისმგებლობას თუ ვერ უზრუნველყოფს მისთვის შესანახად ან სხვა მიზნით გადაცემული ქონების და სხვა ფასეულობათა დაცვას;

4) როდესაც ზიანი მიყენებულია არაშრომითი მოვალეობის შესრულების დროს;

5) როდესაც ქონება და სხვა ფასეულობანი მუშაკმა მიიღო საქვეანგარიშოდ ერთჯერადი მინდობილობით ან სხვა ერთჯერადი დოკუმენტით;

6) როდესაც ზიანი მიყენებულია მასალების, ნახევარფაბრიკატების, ნაწარმის (პროდუქციის), მათ შორის მისი დამზადებისას, დანაკლისით, განზრახ განადგურებით ან განზრახ გაფუჭებით, აგრეთვე საწარმოს, დაწესებულე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის, ორგანიზაციის მიერ მუშაკისათვის სარგებლობაში მიცემული ინსტრუმენტების, საზომი ხელსაწყოების, სპეციალური ტანსაცმლისა და სხვა ნივთების დანაკლისით, განზრახ განადგურებით ან განზრახ გაფუჭებით".

2. დაემატოს კოდექსს შემდეგი შინაარსის 121[1], 121[2], 121[3] მუხლები:

**„მუხლი 121[1].** წერილობითი ხელშეკრულება სრული მატერიალური პასუხისმგებლობის შესახებ

წერილობითი ხელშეკრულება სრული მატერიალური პასუხისმგებლობის შესახებ საწარმომ, დაწესებულებამ, ორგანიზაციამ შეიძლება დადოს მუშაკთან (18 წლის ასაკს მიღწეულთან), რომელსაც უკავია ისეთი თანამდებობა ან ასრულებს ისეთ სამუშაოებს, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია მისთვის გადაცემულ ფასეულობათა შენახვასთან, დამუშავებასთან, გაყიდვასთან (გაცემასთან), გადაზიდვასთან ან წარმოების პროცესში გამოყენებასთან. სსრ კავშირის კანონმდებლობის შესაბამისად ასეთი თანამდებობებისა და სამუშაოების ნუსხა, აგრეთვე ტიპობრივი ხელშეკრულება სრული ინდივიდუალური მატერიალური პასუხისმგებლობის შესახებ მტკიცდება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ განსაზღვრული წესით.

**მუხლი 121[2].** კოლექტიური (ბრიგადული) მატერიალური პასუხისმგებლობა

მუშებისა და მოსამსახურეების მიერ იმ ცალკეულ სახეობათა სამუშაოების ერთობლივად შესრულებისას, რომლებიც დაკავშირებულია მათთვის გადაცემულ ფასეულობათა შენახვასთან, დამუშავებასთან, გაყიდვასთან (გაცემასთან), გადაზიდვასთან ან წარმოების პროცესში გამოყენებასთან და როდესაც შეუძლებელია თითოეული მუშაკის მატერიალური პასუხისმგებლობის გამიჯვნა და მასთან ხელშეკრულების დადება სრული მატერიალური პასუხისმგებლობის შესახებ, შეიძლება შემოღებულ იქნეს კოლექტიური (ბრიგადული) მატერიალური პასუხისმგებლობა.

კოლექტიურ (ბრიგადულ) მატერიალურ პასუხისმგებლობას აწესებს საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაცია პროფკავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივ კომიტეტთან შეთანხმებით. წერილობითი ხელშეკრულება კოლექტიური (ბრიგადული) მატერიალური პასუხისმგებლობის შესახებ იდება საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციისა და კოლექტივის (ბრიგადის) ყველა წევრს შორის.

იმ სამუშაოთა ნუსხას, რომელთა შესრულების დროსაც შეიძლება შემოღებულ იქნეს კოლექტიური (ბრიგადული) მატერიალური პასუხისმგებლობა, მის გამოყენების პირობებს, აგრეთვე ტიპობრივ ხელშეკრულებას კოლექტიური (ბრიგადული) მატერიალური პასუხისმგებლობის შესახებ სსრ კავშირის კანონმდებლობის შესაბამისად ამტკიცებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტი საკავშირო პროფსაბჭოსთან ერთად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**მუხლი 121³.** საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციისათვის მიყენებული ზიანის ოდენობის განსაზღვრა

საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციისათვის მიყენებული ზიანის ოდენობა განისაზღვრება ფაქტიური დანაკარგების მიხედვით, საბუღალტრო აღრიცხვის მონაცემების საფუძველზე, მატერიალურ ფასეულობათა საბალანსო ღირებულების (თვითღირებულების) შესაბამისად, დადგენილი ნორმებით ცვეთის გამოკლებით.

მატერიალურ ფასეულობათა დატაცების, დანაკლისის, განზრახ განადგურების ან გაფუჭების დროს ზიანი განისაზღვრება სახელმწიფო საცალო ფასების მიხედვით. თუ მოცემული სახეობის მატერიალურ ფასეულობაზე დაწესებული არ არის საცალო ფასები, სსრ კავშირის კანონმდებლობის შესაბამისად ზიანი გამოითვლება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ფასების სახელმწიფო კომიტეტის მიერ დადგენილი წესით გამოანგარიშებული ფასების მიხედვით.

საზოგადოებრივი კვების საწარმოებში (წარმოებაში და ბუფეტებში) და საკომისიო ვაჭრობაში პროდუქციისა და საქონლის დატაცებით ან დანაკლისით მიყენებული ზიანის ოდენობა განისაზღვრება იმ ფასების მიხედვით, რომლებიც დადგენილია ამ პროდუქციისა და საქონლის გაყიდვისათვის (რეალიზაციისათვის).

რამდენიმე მუშაკის ბრალით მიყენებული ზიანის ანაზღაურების ოდენობა განისაზღვრება თითოეული მათგანისათვის ბრალის ხარისხის, მატერიალური პასუხისმგებლობის სახეობისა და ფარგლების გათვალისწინებით".

3. კოდექსის 120-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1) მუშებსა და მოსამსახურეებს — მათი ბრალით მიყენებული ზიანის ოდენობით, მაგრამ არა უმეტეს საშუალო თვიური ხელფასის ორი მესამედისა. მასალების, ნახევარფაბრიკატების, ნაწარმის (პროდუქციის), მათ შორის მის დამზადებისას დაუდევრობის გამო გაფუჭების ან განადგურებისათვის, აგრეთვე საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის მიერ სარგებლობაში მიცემული ინსტრუმენტების, საზომი ხელსაწყოების, სპეციალური ტანსაცმლის და სხვა საგნების დაუდევრობით გაფუჭების ან განადგურებისათვის;

2) საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების ხელმძღვანელებს და მათ მოადგილეებს, აგრეთვე საწარმოებში, დაწესებულებებში, ორგანიზაციებში სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელებსა და მათ მოადგილეებს — მათი ბრალით მიყენებული ზიანის ოდენობით, მაგრამ არა უმეტეს საშუალო თვიური ხელფასისა, თუ ზიანი საწარმოს, დაწესებულებას, ორგანიზაციას მიაყენეს ზედმეტი ფულადი სახსრების გაცემით, მატერიალური ან ფულადი ფასეულობის აღრიცხვისა და შენახვის არასწორი დაყენებით, მოცდენის, უხარისხო პროდუქციის გამოშვების, მატერიალური ან ფულადი ფასეულობის დატაცების, განადგურებისა და გაფუჭების თავიდან ასაცილებლად საჭირო ზომების მიუღებლობით".

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. კოდექსის 123-ე მუხლის მესამე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუშას ან მოსამსახურეს მიყენებული ზიანი შეუძლია ნებაყოფლობით აანაზღაუროს მთლიანად ან ნაწილობრივ. საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციის თანხმობით მუშაკს შეუძლია გადასცეს მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად ტოლფასოვანი ქონება ან შეაკეთოს დაზიანებული ნივთი“.

5. კოდექსის 122-ე მუხლს დაემატოს მეოთხე, მეხუთე და მეექვსე ნაწილები შემდეგი შინაარსისა:

„საწარმოსათვის, დაწესებულებისა და ორგანიზაციისათვის მათი ხელმძღვანელებისა და მოადგილეების ბრალით მიყენებული ზიანის ანაზღაურება ხდება ხელქვეითობის წესით, ზემდგომი ორგანოების განკარგულებით, ამ მუხლის 1 და 2 ნაწილებით გათვალისწინებული წესების დაცვით.

საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ხელმძღვანელებისა და მათი მოადგილეებისათვის მატერიალური ზიანის გადახდევინება სასამართლო წესით ხდება ხელქვეითობის წესით, ზემდგომი ორგანოების სარჩელით ან პროკურორის განცხადებით.

ზიანის ანაზღაურება ხდება მუშაკის დისციპლინურ, ადმინისტრაციულ ან სისხლის სამართლის პასუხისგებაში ჰიცემის მიუხედავად, იმ მოქმედებისათვის (უმოქმედობისათვის), რის შედეგადაც საწარმოს, დაწესებულებას, ორგანიზაციას მიყენებული აქვს ზიანი“.

6. კოდექსის 204-ე მუხლს მეორე ნაწილის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის ახალი ნაწილი:

„ხელქვეითობის წესით ზემდგომი ორგანოს ან პროკურორის სასამართლოში მიმართვისას გამოიყენება იგივე ვადები“.

ამასთან დაკავშირებით მესამე ნაწილი ჩაითვალოს მეოთხე ნაწილად.

7. კოდექსის 209-ე მუხლში სიტყვის „სასამართლოს“ შემდეგ დაემატოს სიტყვები: „ან ხელქვეითობის წესით ზემდგომი ორგანოს“.

II. ამ ბრძანებულების წესები გამოიყენება აგრეთვე საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციისათვის მუშა-მოსამსახურეთა მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების იმ შემთხვევების მიმართაც, რომელთა გამოც გადაწყვეტილება არ იყო მიღებული 1977 წლის 1 იანვრამდე, თუ ამ პირთა პასუხისმგებლობა მატერიალური ზიანისათვის გათვალისწინებული იყო ადრე მოქმედი კანონმდებლობითაც იმავე ფარგლებში ან უფრო დიდი ოდენობით, ვიდრე ეს დადგენილია ამ ბრძანებულებით.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1977 წლის 30 ივნის

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 79 არასრულწლოვანთა საქმეების კომისიების დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1967 წლის 4 აპრილის ბრძანებულებით დამტკიცებულ დებულებაში არასრულწლოვანთა საქმეების კომისიების შესახებ (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1967 წ. № 4, მუხ. 282, 1972 წ. № 1, მუხ. 5; 1973 წ. № 4, მუხ. 52).

I. მე-8 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 8.** არასრულწლოვანთა საქმეების რაიონული (საქალაქო) კომისიები აერთიანებენ და კოორდინაციას უწევენ სახალხო განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, კულტურის დაწესებულებების და შინაგან საქმეთა ორგანოების, რაიონის (ქალაქის) სხვა დაწესებულებების, საწარმოების, ორგანიზაციების, აგრეთვე პედაგოგ-ორგანიზატორთა ძალებს ბავშვებთან და მოზარდებთან მუშაობის ჩატარებისათვის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, იმ საზოგადოებრივი ორგანოების მუშაობას, რომლებსაც დაკისრებული აქვთ ბავშვთა და მოზარდთა აღზრდა, მათი მოწყობა, ჯანმრთელობის განმტკიცება, არასრულწლოვანთა უზედამხედველობის და მათ მიერ სამართალდარღვევის თავიდან აცილება და აგრეთვე მათი უფლებების დაცვა.

არასრულწლოვანთა საქმეების რაიონული (საქალაქო) კომისიები, როგორც უშუალოდ, ასევე შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მეშვეობით შეიმუშავებენ და ახორციელებენ ღონისძიებებს არასრულწლოვანთა უზედამხედველობის და მათ მიერ სამართალდარღვევის თავიდან აცილებისათვის, ბავშვების და მოზარდთა მოწყობისა და მათი კულტურული დასვენების ორგანიზაციისათვის, არასრულწლოვანთა აღზრდაში დახმარების გაწევისათვის“.

2. მე-11 მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„არასრულწლოვანთა საქმეების რაიონული (საქალაქო) კომისიები ახორციელებენ კონტროლს საწარმოების, დაწესებულებების და ორგანიზაციების ადმინისტრაციის მიერ არასრულწლოვანთათვის დადგენილი მუშაობის პირობებისა და რეჟიმის დაცვის, მათთან აღმზრდელობითი მუშაობის მდგომარეობისადმი, აუცილებელი მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობების შექმნისა და მათი საერთო-საგანმანათლებლო, კულტურული და პროფესიული დონის ამაღლებისადმი“.

3. მე-12 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 12.** არასრულწლოვანთა საქმეების რაიონული (საქალაქო) კომისიები მუდმივ კონტროლს უწევენ მოცემული რაიონის (ქალაქის) ტერიტორიაზე განლაგებულ სპეციალურ სასწავლო-აღმზრდელობით დაწესებულებებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში, შრომა-აღმზრდელობით კოლონიებში, არასრულწლოვანთა საქმეების ინსპექციებში და არასრულწლოვანთა მიმღებ-განმანაწილებლებში აღმზრდელობითი მუშაობის მიმდინარეობას, ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიულ-ტექნიკურ სწავლებას, მოთავსების პირობებს და შრომის სწორ ორგანიზაციას, აგრეთვე ეხმარებიან ამ დაწესებულებებს აღნიშნული მუშაობის ჩატარებაში".

4. მე-13 მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„არასრულწლოვანთა საქმეების რაიონული (საქალაქო) კომისიები შინაგან საქმეთა ორგანოებთან ერთად მეთვალყურეობას უწევენ იმ არასრულწლოვანთა ყოფაქცევას, რომელთა მიმართ გამოყენებული იყო აღმზრდელობითი ან ადმინისტრაციული ზემოქმედების ზომები, აგრეთვე ისეთი სასჯელი, რომელიც არ არის დაკავშირებული თავისუფლების აღკვეთასთან, პირობით მსჯავრდებულთა და სასჯელის მოხდისაგან ვადამდე განთავისუფლებულთა და იმ არასრულწლოვანთა ყოფაქცევას, რომლებიც დაბრუნდნენ სპეციალური სასწავლო-აღმზრდელობითი და სამკურნალო-აღმზრდელობითი დაწესებულებებიდან ან მოიხადეს სასჯელი შრომა-აღმზრდელობით კოლონიებში, ახორციელებენ კონტროლს იმ მსჯავრდებულთა ყოფაქცევისადმი, რომლების მიმართაც თავისუფლების აღკვეთის შესახებ განაჩენის აღსრულება გადადებულია, აგრეთვე აწარმოებენ ამ არასრულწლოვანთა აღრიცხვას".

5. მე-14 მუხლის „ა" პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) შეამოწმოს ბავშვთა და მოზარდთა მოთავსებისა და აღზრდის პირობები სკოლა-ინტერნატებში, საბავშვო სახლებში, პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში, სპეციალურ სასწავლო-აღმზრდელობით და სამკურნალო-აღმზრდელობით დაწესებულებებში, შრომა-აღმზრდელობით კოლონიებში და არასურლწლოვანთა მიმღებ-განმანაწილებლებში, აგრეთვე შეამოწმოს არასრულწლოვანთა საქმეების ინსპექციების მუშაობის მდგომარეობა".

ამავე მუხლის „თ" პუნქტს მეორე აბზაცის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის აბზაცი:

„შინაგან საქმეთა ორგანოებთან ერთად აღძრას შუამდგომლობა სასამართლოს წინაშე იმ მსჯავრდებულთა სასჯელისაგან განთავიუსფლების შესახებ, რომლებსაც გადაუდეს განაჩენის აღსრულება, აგრეთვე შინაგან საქმეთა ორგანოებთან ერთად შეიტანოს სასამართლოში წარდგინება ასეთი გადადების გაუქმებისა და განაჩენით დაწესებული თავისუფლების აღკვეთის მოსახდელად მსჯავრდებულის გაგზავნის შესახებ (საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 47[1] მუხლი)".

6. მე-15 მუხლის პირველი ნაწილის მე-4 აბზაცში სიტყვები „აღმზრდელობითს დაწესებულებებში", შეიცვალოს სიტყვებით „სასწავლო-აღმზრდელობითს დაწესებულებებში".

7. მე-17 მუხლის „დ" პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის მეორე ნაწილი:

„რომლებმაც 16-დან 18 წლის ასაკამდე ჩაიდინეს წვრილმანი ხულიგნობა, თუ მილიციის ორგანოს უფროსი ან სახალხო მოსამართლე დამრღვევის პი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

როვნების და ჩადენილი გადაცდომის ხასიათის გათვალისწინებით მიზანშეწონილად ჩათვლის მასალები გადაცემულ იქნეს კომისიის განსახილველად".

8. მე-18 მუხლის „ი" პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ი) არასრულწლოვანი, მის მიერ საზოგადოებრივად საშიში მოქმედების ჩადენის ან საზოგადოებრივი ქცევის წესების ბოროტად და სისტემატურად დარღვევის შემთხვევაში, მოათავსოს სპეციალურ სასწავლო-აღმზრდელობით დაწესებულებაში. 11-დან 14 წლის ასაკამდე არასრულწლოვანი შეიძლება გაიგზავნოს სპეციალურ სკოლაში, ხოლო 14-დან 18 წლის ასაკამდე — სპეციალურ პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში. ზემოქმედების აღნიშნული ზომა არასრულწლოვანთა საქმეების კომისიამ შეიძლება დააწესოს აგრეთვე პირობით, ერთი წლის გამოსაცდელი ვადით".

ამ მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მეორე ნაწილი:

„არასრულწლოვანთა საქმეების რაიონულ (საქალაქო) კომისიებს უფლება აქვთ მეურვეობის და მზრუნველობის ორგანოში შეიტანონ წინადადება 15-დან 18 წლის ასაკამდე არასრულწლოვანისათვის უფლების შეზღუდვის ან ჩამორთმევის შესახებ დამოუკიდებლად განაგოს თავისი ხელფასი ან სტიპენდია".

9. მე-19 მუხლის პირველი, მეორე და მესამე ნაწილები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„არასრულწლოვანთა საქმეების რაიონულ (საქალაქო) კომისიას მშობლების ან მათი შემცვლელი პირების მიმართ, თუ ისინი არასწორ დამოკიდებულებას იჩენენ ბავშვებისადმი, ან ბოროტად არიდებენ თავს თავიანთი მოვალეობის შესრულებას ბავშვთა აღზრდისა და სწავლების საქმეში, ან ათრობენ არასრულწლოვანს, აგრეთვე ექიმის დანიშნულების გარეშე არასრულწლოვანის მიერ ნარკოტიკული ნივთიერების გამოყენების ან სხვა სამართალდარღვევის ჩადენის შემთხვევაში, შეუძლია გამოიყენოს ზემოქმედების შემდეგი ზომები:

ა) გამოუტანოს საზოგადოებრივი გაკიცხვა;

ბ) დააკისროს არასრულწლოვანის მიერ მიყენებული ზარალის ანაზღაურება თუ იგი 20 მანეთს არ აღემატება;

გ) დააკისროს ჯარიმა 30 მანეთამდე.

არასრულწლოვანთა საქმეების კომისიებს შეუძლიათ ამხანაგურ სასამართლოს გადასცენ საქმეები მშობლების ან მათი შემცვლელი პირების შესახებ. კომისიებს უფლება აქვთ რაიონულ (საქალაქო) სახალხო სასამართლოში შეიტანონ განცხადება კანონით გათვალისწინებული საფუძვლებით მშობლებისათვის მშობლის უფლების ჩამორთმევის თაობაზე აგრეთვე იმ პირთა ბინიდან გასახლების შესახებ, რომლებსაც მშობლის უფლება აქვთ ჩამორთმეული ან შექმნეს მათთან ერთად ბავშვების ცხოვრებისათვის შეუძლებელი პირობები.

სპეციალურ სასწავლო-აღმზრდელობით და სპეციალურ სამკურნალო-აღმზრდელობით დაწესებულებებში არასრულწლოვანი შეიძლება გაიგზავნოს არასრულწლოვანთა საქმეების კომისიის გადაწყვეტილებით მშობლებისა ან მათი შემცვლელი პირების თანხმობის გარეშე. სპეციალურ სასწავლო-აღმზრდელობით და სპეციალურ სამკურნალო-აღმზრდელობით დაწესებულებებში

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაგზავნის შესახებ საქმის განხილვაში აუცილებლად მონაწილეობს „პროკურორი“.

10. მე-20 მუხლს სიტყვების „შვილების აღზრდას“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „ან აფერხებენ კომისიის დადგენილების შესრულებას“.

11. 24-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 24.** სპეციალურ სკოლებში არასრულწლოვანნი შეიძლება იმყოფებოდნენ 15 წლის ასაკამდე, ხოლო სპეციალურ პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში — 18 წლამდე.

გამონაკლის შემთხვევაში მოსწავლეთა სპეციალურ სკოლებში ყოფნა შეიძლება გაგრძელდეს 16 წლის ასაკამდე.

არასრულწლოვანები სპეციალურ სასწავლო-აღმზრდელობით დაწესებულებებში იმყოფებიან გამოსწორებამდე, მაგრამ არა უმეტეს სამი წლისა.

სპეციალურ სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულებების ადგილსამყოფელის მიხედვით არასრულწლოვანთა საქმეების კომისიას შეუძლია ნება დართოს მოსწავლეს დარჩეს სპეციალურ სკოლაში და სპეციალურ პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში სამი წლის გასვლის შემდეგაც ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის შესაბამისი კლასის ან პროფესიული სწავლების მიმდინარე სასწავლო წლის დამთავრებამდე.

სპეციალური სკოლების მოსწავლეები, რომლებსაც შეუსრულდათ 15 წელი, მაგრამ რომლებიც არ გამოსწორდნენ, ასეთი სკოლების ადგილსამყოფელის მიხედვით არასრულწლოვანთა საქმეების კომისიამ შეიძლება გაგზავნოს სპეციალურ პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში.

სპეციალურ სასწავლო-აღმზრდელობით დაწესებულებებში მოსწავლეთა ჰოთავსების ხარჯების ნაწილობრივ ასანაზღაურებლად მშობლებს ეკისრებათ გადასახადი იმ წესით, რომელიც განსაზღვრულია სსრ კავშირის და საქართველოს სსრ კანონმდებლობით.

საკითხს არასრულწლოვანთა სპეციალურ სასწავლო-აღმზრდელობით და სამკურნალო-აღმზრდელობით დაწესებულებებში შემდგომი ყონის მიზანშეწონილობის შესახებ პერიოდულად, მაგრამ წელიწადში ერთხელ მაინც, განიხილავენ არასრულწლოვანთა საქმეების კომისიები ამ დაწესებულებების ადგილსამყოფელის მიხედვით, კომისიების ინიციატივით, დასახელებული დაწესებულებების ადმინისტრაციის წარდგინებით, მშობლების ან მათი შემცვლელი პირების შუამდგომლობით“.

12. 25-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 25.** არასრულწლოვანთა სპეციალურ სასწავლო-აღმზრდელობით დაწესებულებებში არ შეიძლება გაგზავნილ იქნენ ყრუ-მუნჯები, უსინათლოები; სულით ავადმყოფები, გონებრივად ჩამორჩენილი არასრულწლოვანები, აგრეთვე ბავშვები და მოზარდები ისეთი ფიზიკური ნაკლით და დაავადებით, რომლებიც სამედიცინო წინააღმდეგ ჩვენებათა ნუსხის მიხედვით არ მიიღებიან სკოლა-ინტერნატებში და პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში“.

13. 26-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„არასრულწლოვანის სპეციალურ სასწავლო-აღმზრდელობით ან სამკურნალო-აღმზრდელობით დაწესებულებაში ყოფნა შეწყდება დასახელებული დაწესებულების ადგილსამყოფელის მიხედვით არასრულწლოვანთა საქმეების რაიონული (საქალაქო) კომისიის დადგენილებით, პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე, რომელსაც დირექტორი ამტკიცებს, რის შესახებაც არასრულწლოვანის გამოშვებამდე არა უგვიანეს ერთი თვისა ატყობინებენ არასრულწლოვანთა საქმეების კომისიას არასრულწლოვანის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, რომელიც ვალდებულია მიიღოს ზომები არასრულწლოვანის შრომითი მოწყობის ან მისი სასწავლებელში გაგზავნისა და მისთვის აუცილებელი მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობების შექმნისათვის“.

14. 27-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„იმ შემთხვევაში, როდესაც აღსაზრდელი სპეციალური სასწავლო-აღმზრდელობითი ან სამკურნალო-აღმზრდელობითი დაწესებულებიდან, საბავშვო სახლიდან, სკოლა-ინტერნატიდან გამოშვების შემდეგ არ შეიძლება გაიგზავნოს მშობლებთან ან მათ შემცვლელ პირებთან, კანონით დადგენილი წესით მათთვის მშობლის ან მეურვის უფლების ჩამორთმევასთან დაკავშირებით, აგრეთვე როდესაც შეუძლებელია აღსაზრდელის წინანდელ საცხოვრებელ ადგილზე დაბრუნება სხვა მიზეზების გამო (როდესაც მას არა ჰყავს მშობლები ან მათი შემცვლელი პირები, ან არ არსებობს საყოფაცხოვრებო და შრომითი მოწყობის და შემდგომი აღზრდის სათანადო პირობები), რაიონული (საქალაქო) კომისია ამ დაწესებულების ადგილსამყოფელის მიხედვით, ღებულობს ზომებს არასრულწლოვანის ყოფა-ცხოვრების, სწავლის ან შრომითი მოწყობისათვის, აუცილებლობის შემთხვევაში შეუძლია დაუნიშნოს მას საზოგადოებრივი აღმზრდელი, აგრეთვე უფლება აქვს შეიტანოს წარდგინება მშრომელთა დეპუტატების შესაბამისი საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში არასრულწლოვანისათვის მეურვის, მზრუნველის დანიშვნის შესახებ“.

15. 30-ე მუხლის მეორე ნაწილში სიტყვები „ბავშვთა მიმღები“ — შეიცვალოს სიტყვებით „არასრულწლოვანთა მიმღებ-განმანაწილებელი“.

16. დებულებას დაემატოს შემდეგი შინაარსის 37[1] მუხლი:

**„მუხლი 37[1].** თუ არსებობს საკმარისი საფუძველი, რომ არასრულწლოვანი, რომელიც კომისიის დადგენილების შესაბამისად მოთავსებულ უნდა იქნეს სპეციალურ სასწავლო-აღმზრდელობით დაწესებულებაში, განაგრძობს დანაშაულებრივ ან სხვა ანტისაზოგადოებრივ საქმიანობას, აგრეთვე თავისი დადგენილების შესრულების უზრუნველსაყოფად კომისიას უფლება აქვს მიიღოს გადაწყვეტილება არასრულწლოვანის დროებით, ვადით 30 დღემდე, არასრულწლოვანთა მიმღებ-განმანაწილებელში მოთავსების შესახებ, სადაც მასზე საბოლოოდ გაფორმდება პირადი საქმე და არასრულწლოვანი გაიგზავნება სპეციალურ სასწავლო-აღმზრდელობით დაწესებულებაში.

გამონაკლისს შემთხვევაში არასრულწლოვანის მიმღებ-განმანაწილებელში ყოფნის ვადა შეიძლება გაგრძელდეს, მაგრამ არა უმეტეს 15 დღისა, არასრულ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წლოვანთა საქმეების კომისიის დადგენილებით, რომელმაც გამოიტანა გადაწყვეტილება არასრულწლოვანის მიმღებ-განმანაწილებელში დროებით მოთავსების შესახებ“.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1977 წლის 30 ივნისი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 80 ცხოველებისა და ფრინველებისადმი სასტიკი მოპყრობისათვის პასუხისმგებლობის შესახებ

15640

**ითვალისწინებს** რა მოქალაქეთა სურვილებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წინადადებებს, ამასთან მხედველობაში იღებს იმას, რომ ცხოველებისა და ფრინველებისადმი სასტიკი მოპყრობა შეუთავსებელია სოციალისტური საზოგადოების მორალთან და ზიანს აყენებს საბჭოთა მოქალაქეების, განსაკუთრებით ბავშვებისა და მოზარდების აღზრდას, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პერიზიდიუმი **ადგენს:**

1. დაწესდეს, რომ პირები, რომლებიც სასტიკად მოეპყრობიან ცხოველებს და ფრინველებს, რაც გამოიწვევს მათ დაღუპვას ან დასახიჩრებას, აგრეთვე აწვალებენ ცხოველებს ან ფრინველებს, —

დაჯარიმდებიან თანხით ორმოცდაათ მანეთამდე მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებული ადმინისტრაციული კომისიების მიერ.

2. ზემოქმედების ზომებს არასრულწლოვანთა მიმართ, აგრეთვე არასრულწლოვანთა მშობლების მიმართ არასრულწლოვანთა მიერ ამ ბრძანებულების პირველ მუხლში აღნიშნული ქმედობისათვის, განსაზღვრავენ მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებული არასრულწლოვანთა საქმეების კომისიები ამ კომისიების შესახებ დებულების შესაბამისად.

3. ცხოველების ან ფრინველებისადმი სასტიკი მოპყრობის ან მათი წვალების ფაქტებზე მასალების გაფორმება და შესაბამისი კომისიებისათვის წარდგენა ევალებათ მილიციის ორგანოებს.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1977 წლის 30 ივნისი.

კ. მარქსის სახ. საქ. სსრ
სახელმწიფო რესპუბლიკ.
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 81 საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოსთან დისციპლინურ საქმეთა კოლეგიის შექმნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოსთან შეიქმნას დისციპლინურ საქმეთა კოლეგია თავმჯდომარისა და კოლეგიის ექვსი წევრის შემადგენლობით:

**კოლეგიის თავმჯდომარე:**

დურმიშხან ანთიმოზის ძე **ლორია** — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე.

**კოლეგიის წევრები:**

ივანე ზაქარიას ძე **გოგილაშვილი** — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი.

ლამარა პროკოფის ასული **სორდია-შევცოვა** — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი.

ანა იორამის ასული **ქუმსიაშვილი** — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი.

ივანე ნიკოლოზის ძე **ქრისტესიაშვილი** — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი.

გიორგი ივანეს ძე **დალაქიშვილი** — საქართველოს სსრ კასპის რაიონის სახალხო მოსამართლე.

შოთა ფილიპეს ძე **კალმახელიძე** — საქართველოს სსრ მცხეთის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1977 წლის 30 ივნისი.

## განკოფილება მეორე

## გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 82 ამხ. ო. ა. გიგილეიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მშენებლობის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მშენებლობის მინი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტრის მოადგილე ამხ. ოთარ ანდრიას ძე ბიბილეიშვილი დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1977 წლის 8 ივნისი.

## გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 83 ამხ. ვ. ი. ვაშაკიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს შრომის ჰიგიენისა და პროფდაავადებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ვერა ივანეს ასული **ვაშაკიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1977 წლის 8 ივნისი.

## გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 84 პროფესორ ნ. შ. ჯანბერიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხელოვნების დარგში ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მხატვართა კავშირის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი ნოდარ შალვას ძე **ჯანბერიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1977 წლის 8 ივნისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 85 გენერალ-ლეიტენანტ ვ. ნ. ჯანჯღავას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მოსახლეობის სამხედრო-პატრიოტული აღზრდის და სახალხო მეურნეობისა და საბჭოთა არმიისათვის კადრების მომზადების საქმეში დამსახურებისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების (დოსაააფი) ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე, გენერალ-ლეიტენანტი ვლადიმერ ნიკოლოზის ძე **ჯანჯღავა** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1977 წლის 8 ივნისი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 86 ამხ. ბ. რ. კვარაცხელიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, კომკავშირულ ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს კომპარტიის ზუგდიდის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. გრამიტონ რაჟდენის ძე **კვარაცხელია** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი**

თბილისი, 1977 წლის 16 ივნისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 87 ამხ. შ. ზ. ხეროდინაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სახალხო მეურნეობისათვის კვალიფიციური მუშათა კადრების მომზადების საქმეში დამსახურებისათვის დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის სასწავლო-მეთოდური კაბინეტის დირექტორი ამხ. შალვა ზურაბის ძე **ხეროდინაშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1977 წლის 16 ივნისი.

## განყოფილება მესამე

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1977 წლის 30 ივნისის სხდომაზე მოისმინა საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნების შედეგები.

აღინიშნა, რომ არჩევნები ჩატარდა მაღალ იდეურ-პოლიტიკურ დონეზე, მასების აქტიურობისა და ორგანიზებულობის, სკკპ XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელების, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისა და სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვისა და მოწონების ვითარებაში.

არჩევნებში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა 99,99 პროცენტმა. დეპუტატობის კანდიდატებს ხმა მისცა არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა 99,98 პროცენტმა. არჩეულ იქნა ერთი საოლქო, 65 რაიონული, 51 საქალაქო, ქ. თბილისის 8 რაიონული, 923 სასოფლო და 56 სადაბო საბჭოს 49.371 დეპუტატი.

დეპუტატებად არჩეული არიან მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, ინტელიგენციის ღირსეული წარმომადგენლები.

დეპუტატთა შორის 23.963, ანუ 48,5 პროცენტი არის ქალი, სკკპ წევრი და წევრობის კანდიდატია — 21.307, ანუ 43,2 პროცენტი, უპარტიო — 28.064, ანუ 56,8 პროცენტი, მუშა და კოლმეურნეა — 33.303, ანუ 67,5 პროცენტი.

15.203 დეპუტატი, ანუ 30,8 პროცენტი 30 წლამდე ასაკისაა, ხოლო 28.554 ანუ 56,8 პროცენტი არ ყოფილა წინა მოწვევის ადგილობრივი საბჭოს დეპუტატი.

ამასთან ერთად, აღინიშნა, რომ **არჩევნებ**ისათვის მზადების პერიოდში ადგილი ჰქონდა ნაკლოვანებებსაც.

მშრომელთა დეპუტატების ზოგიერთი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი სათანადო ყურადღებას არ უთმობდა დეპუტატობის კანდიდატების შერჩევის, წამოყენებისა და საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ რეგისტრაციაში მათი სწორად გატარების საქმეს. სათანადო პასუხისმგებლობით არ ეკიდებოდა არჩევნებთან დაკავშირებით ცნობების შედგენასა და დანიშნულებისამებრ დროულად წარდგენას და ა. შ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაავალა მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს:

საჭირო დახმარება გაუწიონ საბჭოების ახლადარჩეულ დეპუტატებს მოვალეობათა შესრულებაში. მოაწყონ დეპუტატის ოთახი (კუთხე), სისტემატურად ჩაატარონ „დეპუტატის დღე“, თათბირები და სემინარები; დეპუტატთა სტატუსის შესახებ კანონის შესაბამისად ფართოდ გააცნონ მათი უფლებამოვალეობანი, პარტიისა და მთავრობის უმნიშვნელოვანესი დადგენილებები.

მეტად ჩააბან დეპუტატები საბჭოების პრაქტიკულ საქმიანობაში, სესიებისა და აღმასკომების სხდომებისათვის საკითხების მომზადებასა და საბჭოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებაში. მიაღწიონ იმას, რომ დეპუტატები სრულად იყენებდნენ კანონით მინიჭებულ უფლებებს;

გააქტიურონ დეპუტატების და დეპუტატთა ჯგუფების საქმიანობა ამომრჩეველთა განაწესების შესრულებისათვის. მიაღწიონ იმას, რომ დეპუტატები ამომრჩევლებს სისტემატურად აბარებდნენ ანგარიშებს განაწესების შესრულების მდგომარეობის შესახებ, აწვდიდნენ ინფორმაციებს პარტიისა და მთავრობის დადგენილებების და საბჭოების გადაწყვეტილებების განხორციელების მდგომარეობის თაობაზე, უფრო ფართოდ იყენებდნენ შეკითხვის წესით სესიებზე საკითხების დაყენების უფლებას;

აამაღლონ დეპუტატების როლი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის აღსანიშნავად მშრომელთა მიერ აღებულ ვალდებულებათა შესრულებასა და მეათე ხუთწლედში საბჭოების წინაშე დასახული ამოცანების გადაწყვეტაში. უზრუნველყონ დეპუტატების აქტიური მონაწილეობა სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვასა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებების შესრულებაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

მოსმენილ იქნა აგრეთვე მოხსენება სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვის მიმდინარეობის შესახებ ქ. ფოთსა და ახალქალაქის რაიონში.

აღინიშნა, რომ ქ. ფოთსა და ახალქალაქის რაიონში ადგილობრივი პარტიული ორგანოების ხელმძღვანელობით მნიშვნელოვანი მუშაობა განხორციელდა სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის განხილვისათვის. საქალაქო, რაიონული და სასოფლო საბჭოების პირველ სესიებზე განიხილეს კონსტიტუციის პროექტი, დაამტკიცეს ღონისძიებათა კომპლექსური გეგმები, გაიმართა ამომრჩეველთა შეხვედრები დეპუტატებთან და ა. შ.

ქ. ფოთის და ახალქალაქის რაიონის მშრომელები ერთსულოვნად იწონებენ კონსტიტუციის პროექტს, აღნიშნავენ თუ რა ისტორიული მნიშვნელობა აქვს მას ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის დიადი საქმისათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაავალა მშრომელთა დეპუტატების ფოთის საქალაქო და ახალქალაქის რაიონული საბჭოების აღმასკომებს:

უზრუნველყონ სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის მაქსიმალურად ფართო, თავისუფალი და საქმიანი განხილვა. თითოეულ მოქალაქეს განუმარტონ მისი ისტორიული მნიშვნელობა;

განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ იმ ღონისძიებათა აუცილებლად განხორციელებას, რომლებიც მშრომელთა დეპუტატების ფოთის საქალაქო და ახალქალაქის რაიონული საბჭოების პირველ სესიებზე იქნა დასახული;

საბჭოების მუდმივი კომისიების უახლოეს სხდომებზე დეპუტატებისა და ფართო აქტივის მონაწილეობით საქმიანად განიხილონ სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტი;

სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვის მიზნით მოაწყონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებისა და ადგილობრივი საბჭოების დეპუტატების შეხვედრები ამომრჩევლებთან;

მკაცრი კონტროლი დააწესონ სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის განხილვის ღონისძიებათა კომპლექსური გეგმების შესრულებაზე, ამ საქმეში ფართოდ ჩააბან დეპუტატები, საბჭოების მუდმივი კომისიები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, აქტივი;

ღრმად გააანალიზონ მშრომელთა წინადადებები, რეკომენდაციები და კონკრეტული შენიშვნები, რომლებიც გამოითქვა საბჭოების სესიებზე, აგრეთვე დეპუტატების ამომრჩევლებთან შეხვედრების დროს, სოფლის ყრილობებზე, მშრომელთა საერთო კრებებზე და მოქალაქეთა კრებებზე საცხოვრებელი ადგილის მიხედვით; ამასთან, ზუსტად იხელმძღვანელონ სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის შესახებ წინადადებების აღრიცხვისა და განზოგადების რეკომენდებული სისტემით.

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებს, მშრომელთა დეპუტატების სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭოს, რაიონული და

საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს დაევალათ თავიანთ საქმიანობაში სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის განხილვის დროს ხელმძღვანელობა იხელმძღვანელონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებებით და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VI პლენუმის დადგენილებით; დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი იმ ამოცანათა გადასაწყვეტად, რომლებიც გამომდინარეობენ მაისის პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებიდან და მისი სიტყვიდან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე.

* * *

ამავე სხდომაზე განხილულ იქნა საკითხი მავნე ტრადიციებისა და წესჩვეულებების აღმოფხვრისათვის დუშეთის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ. აღინიშნა, რომ რაიონული, სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა გარკვეული მუშაობა გასწიეს ამ მიმართულებით.

„მავნე ტრადიციებისა და წესჩვეულებების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1975 წლის 24 ნოემბრის დადგენილების მიღების შემდეგ რაიონში საგრძნობლად გააქტიურდა ბრძოლა დრომოჭმული მავნე ტრადიციების წინააღმდეგ. გარკვეულ მუშაობას ეწევა ახალი წესჩვეულებებისა და რიტუალების პროპაგანდისა და დანერგვის რაიონული კომისია. სოფლის ყრილობებზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო წარსულის მავნე გადმონაშთებთან ბრძოლაში არსებულ ნაკლოვანებათა მხილებას. გააქტიურეს საქმიანობა საზოგადოება „ცოდნის“ რაიონულმა განყოფილებამ და რაიონის ლექტორთა ჯგუფმა, სახალხო უნივერსიტეტებმა. რაიონის ხელმძღვანელი მუშაკები, ადმინისტრაციული ორგანოების მუშაკები, ლექტორები ხშირად ატარებენ ლექცია-მოხსენებებს, კითხვა-პასუხის საღამოებს, კონფერენციებს საბჭოთა კანონმდებლობისა და მეცნიერული ათეიზმის ცალკეულ საკითხებზე. ამ საქმიანობაში ფართოდ მონაწილეობენ აგრეთვე რაიონის ჭოწინავე ადამიანები, ომისა და შრომის ვეტერანები, ინტელიგენციის წარმომადგენლები.

რაიონული გაზეთი და ადგილობრივი რადიოგადაცემები პერიოდულად აშუქებენ საკითხებს მავნე ტრადიციების და წესჩვეულებების წინააღმდეგ განხორციელებულ ღონისძიებათა შესახებ.

მიღებული ზომების შედეგად თანდათანობით წარსულს ბარდება ძველი რელიგიური ადათები და მათ ნაცვლად მკვიდრდება ახალი, სოციალისტური მოქალაქეობრივ-ყოფითი წესჩვეულებები. ტრადიციად იქცა სოფელ ჩარგალში „ვაჟაობის“, ხოლო სოფელ ოძისში — „ერისთაობის“ დღესასწაულები. ყოველწლიურად დიდი ზეიმით აღინიშნება „მეცხვარის დღე“ და ა. შ.

ამასთან, მავნე ტრადიციებსა და წესჩვეულებებთან ბრძოლის საქმეში დუშეთის რაიონში არის სერიოზული ნაკლოვანებანიც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაავალა დუშეთის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს უზრუნველყოს „მავნე ტრადიციებისა და წესჩვეულებების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის 1975 წლის 24 ნოემბრის დადგენილების განუხრელად შესრულება. ამ საქმეში ფართოდ ჩაბას დეპუტატები, მუდმივი კომისიები და აქტივი.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს რეკომენდაცია მიეცა გააქტიუროს კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებების საქმიანობა დრომოჭმული მავნე ტრადიციებისა და წესჩვეულებათა წინააღმდეგ ბრძოლაში.

რესპუბლიკის მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული და საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომებს დაევალათ ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობა მჭიდროდ დაუკავშირონ მავნე ტრადიციებისა და წესჩვეულებათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების საკითხებს.

* * *

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მოისმინა აგრეთვე საკითხი სკკპ XXIV ყრილობისა და საქართველოს კპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად მოქალაქეთა წერილებზე მუშაობის მდგომარეობის შესახებ საჩხერის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომში.

აღინიშნა, რომ მართალია საჩხერის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომმა ამ ბოლო დროს გარკვეული მუშაობა გასწია სკკპ XXV ყრილობის და საქართველოს კპ XXV ყრილობის მითითებათა შესასრულებლად მშრომელთა წერილებზე მუშაობის შემდგომი სრულყოფისა და ადამიანებისადმი გულისხმიერებისა და პატივისცემის ატმოსფეროს შექმნის შესახებ, მაგრამ რაისაბჭოს აღმასკომს, მის განყოფილებებსა და სამმართველოებს, საქალაქო და სასოფლო საბჭოების აღმასკომებს, დაწესებულებებს, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს მოქალაქეთა განცხადებებისა და საჩივრების განხილვის საქმეში გააჩნიათ სერიოზული ნაკლოვანებები.

რაისაბჭოს აღმასკომსა და მისდამი დაქვემდებარებულ ორგანიზაციებში ყოველთვის მთელი პასუხისმგებლობით არ ეკიდებიან მშრომელთა წერილებზე მუშაობას. ზოგიერთი ხელმძღვანელი და თანამდებობის პირი ჯეროვან ყურადღებას არ უთმობს საჩივრების წარმომშობი მიზეზების შესწავლა-გამოვლინებას და მათ ლიკვიდაციას, ღრმად არ სწვდება განცხადებებისა და საჩივრების არსს, არღვევს მათი განხილვისათვის დადგენილ ვადებს, ხშირად გაუმართლებლად აყოვნებს ან თავს არიდებს განცხადებებსა თუ საჩივრებში აღძრული საკითხების გადაწყვეტას და მათზე პასუხის გაცემას.

საჩხერის რაიაღმასკომში 1976 წელს და მიმდინარე წლის ოთხ თვეში მიღებული 1302 განცხადებიდან ვადის დარღვევით არის შესწავლილი და გადაწყვეტილი 201 განცხადება, რაიკოოპერატივის გამგეობაში — 246-დან 62,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო განათლების განყოფილებაში — 132-დან 43, კორბოულის სასოფლო საბჭოს აღმასკომში 95-დან 31, სავანის კოლმეურნეობაში — 141-დან 60 განცხადება. ანალოგიური მდგომარეობაა თითქმის ყველა სხვა შემოწმებულ დაწესებულებასა და ორგანიზაციაში.

არცთუ იშვიათია შემთხვევები, როდესაც რაიაღმასკომში, განცხადებებისა და საჩივრების ზერელე და ფორმალური შესწავლის გამო, უყურადღებოდ ტოვებენ მოქალაქეთა კანონიერ თხოვნას, ან იღებენ ყოვლად გაუმართლებელ, არასწორ გადაწყვეტილებებს, ზოგჯერ განცხადებები და საჩივრები ეგზავნება ისეთ პირებს, რომლებსაც არ შეუძლიათ მათში დაყენებული საკითხების გადაწყვეტა.

რაიონული, საქალაქო და სასოფლო საბჭოების აღმასკომები, კოლმეურნეობათა გამგეობები და საბჭოთა მეურნეობები ყოველთვის დროულად არ პასუხობენ ზემდგომი ორგანოებიდან გადაგზავნილ, კონტროლზე აყვანილ განცხადებებზე. 1976 წელს რაიაღმასკომმა ზემდგომი ორგანოებიდან მიღებული 88 საკონტროლო განცხადებებიდან 32-ს ვადის დარღვევით უპასუხა.

წერილების, განცხადებებისა და საჩივრებისადმი ბიუროკრატიული დამოკიდებულების გამო რაიონის მოსახლეობა იძულებულია განცხადებებით მიმართოს ზემდგომ ინსტანციებს. რაისაბჭოს აღმასკომში გასულ წელს და მიმდინარე წლის ოთხ თვეში მიღებული 1302 განცხადება-საჩივრიდან 229 გადმოგზავნილია ზემდგომი ორგანოებიდან.

რაიაღმასკომის ზოგიერთ განყოფილებაში, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და სოფლის მეურნეობის საამართველოებში, რაიკოოპერატივის გამგეობაში, საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში მოუგვარებელია მოქალაქეთა განცხადებებისა და საჩივრების აღრიცხვა-რეგისტრაციის საქმე. საჭირო ყურადღება არ ექცევა საქმისწარმოებას.

რაიაღმასკომი სათანადო ყურადღებას არ უთმობს აგრეთვე მუშა-მოსამსახურეთა კანონით გარანტირებული უფლებებისა და ინტერესების დაცვას. რაიონის ზოგიერთ ორგანიზაციაში, დაწესებლებასა და საწარმოში უხეშად ირღვევა შრომის კანონმდებლობა; არცთუ იშვიათია მუშა-მოსამსახურეთა სამუშაოდან უკანონოდ დათხოვნის ფაქტები, რაც იწვევს მათ საჩივრებს.

მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო და სასოფლო საბჭოების აღმასკომები ჯეროვნად არ ზრუნავენ ვაჭრობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საკითხების გადასაჭრელად. რაიონის 45 დასახლებული პუნქტიდან საყოფაცხოვრებო მომსახურების გარეშეა დატოვებული 21. სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები ვერ აკმაყოფილებენ მოსახლეობის მოთხოვნილებებს; ხშირია ზომა-წონაში მოტყუების, საპრეისკურანტო ფასების დამახინჯების ფაქტები; დაბალია მომსახურების კულტურის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დონე; ყოველივე ეს კი იწვევს მოსახლეობის უკმაყოფილებას და საჩივრების ბევრია განცხადება და საჩივარი მიწათსარგებლობის საკითხებზე და სხვ.

ზემოაღნიშნული ნაკლოვანებანი გამოწვეულია იმითაც, რომ რაიაღმასკომი ყოველთვის არ უკეთებს სრულ ანალიზს მშრომელთა წერილებს; თავის განყოფილებებსა და სამმართველოებში, დაქვემდებარებულ დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში სისტემატურად არ სწავლობს მოქალაქეთა მიღების, მათი წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვა-გადაწყვეტის მდგომარეობას; ჯეროვან პასუხს არ სთხოვს იმ პირებს, რომელთა დაუდევრობით და უყურადღებობით გაჭიანურდა ან არასწორად გადაწყდა განცხადებასა თუ საჩივარში აღძრული საკითხი; ნაკლებად აბამს დეპუტატებს, მუდმივ კომისიებსა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებს მოქალაქეთა განცხადებებისა და საჩივრების შესწავლაში, აგრეთვე საჩივრების გამო მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმებაში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაავალა საჩხერის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომს:

შეიმუშაოს და განახორციელოს კონკრეტული ღონისძიებანი, რომლებიც სკკპ XXV ყრილობის ახალ, უფრო გადიდებულ მოთხოვნათა შესაბამისად უზრუნველყოფენ წერილებზე მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებას, ამასთან, მთელი ეს საქმიანობა წარმართოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1968 წლის 12 აპრილის ბრძანებულების, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის 28 აპრილისა და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მიერ ბოლო წლებში მიღებულ დადგენილებათა განუხრელად შესასრულებლად;

სისტემატურად შეისწავლოს თავის განყოფილებებსა და სამმართველოებში, დაქვემდებარებულ დაწესებულებებში, ორგანიზაციებსა და საწარმოებში მოქალაქეთა მიღების, მათი წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვის მდგომარეობა და ეს საკითხი გახადოს აღმასკომის, ხოლო საჭირო შემთხვევაში რაისაბჭოს სესიების მსჯელობის საგნად;

მეტი ყურადღება დაუთმოს მოქალაქეთა საჩივრების გამომწვევი მიზეზების გამოვლენას და მიიღოს ქმედითი ზომები მათ სალიკვიდაციოდ. განცხადებებისა და საჩივრების შემოწმებისა და მათ გამო მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების საქმეში ფართოდ ჩააბას დეპუტატები, მუდმივი კომისიები და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები;

უზრუნველყოს მოქალაქეთა წერილების, განცხადებებისა და საჩივრების დროული განხილვა, მათში აღძრული საკითხების სწორი გადაწყვეტა და მათზე დადგენილ ვადებში პასუხის გაცემა.

აღმასკომის სხდომებზე პერიოდულად მოისმინოს საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელების მოხსენებები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1968 წლის 12 აპრილის ბრძანებულების გამოყენების პრაქტიკის შესახებ.

ყოველდღიურად იზრუნოს იმ მუშაკთა კვალიფიკაციის, სამართლებრივი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცოდნის დონის ასამაღლებლად და მათთვის შრომის სათანადო პირობების შესაქმნელად, რომლებიც დასაქმებული არიან მოქალაქეთა წერილებზე.

უფრო მეტი პრაქტიკული დახმარება აღმოუჩინოს მშრომელთა დეპუტატების საჩხერის საქალაქო და სასოფლო საბჭოების აღმასკომების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პასუხისმგებელ მუშაკებს მოქალაქეთა მიღების, მათი წერილების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვის საქმეში;

სერიოზული ყურადღება დაუთმოს რაიონის დაწესებულებებში, ორგანიზაციებსა და საწარმოებში მშრომელთა უფლებებისა და ინტერესების განუხრელად დაცვას. აღმოფხვრას მუშა-მოსამსახურეთა უკანონოდ დათხოვნის შემთხვევები, შრომის კანონმდებლობის დარღვევის თითოეული ფაქტი გახადოს ფართო მსჯელობის საგნად.

## საინფორმაციო ცნობები

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 18 აგვისტოს ბრძანებულების საფუძველზე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1977 წლის 30 ივნისის ბრძანებულებით „სახელოვანი დედის“ ორდენებითა და „დედობის მედლით“ დაჯილდოვდა 176 მრავალშვილიანი დედა, **მათ შორის:**

| | | |
|---|---|---|
| ქ. თბილისში | | 39 |
| ქ. რუსთავში | | 6 |
| ქ. ჭიათურაში | | 18 |
| ახმეტის | რაიონში | 7 |
| ბოგდანოვკის | —„— | 6 |
| გეგეჭკორის | —„— | 20 |
| დუშეთის | —„— | 5 |
| ზუგდიდის | —„— | 5 |
| თელავის | —„— | 4 |
| ლაგოდეხის | —„— | 8 |
| მახარაძის | —„— | 13 |
| მესტიის | —„— | 13 |
| ცხაკაიას | —„— | 9 |
| წულუკიძის | —„— | 2 |
| ჩოხატაურის | —„— | 5 |
| ჩხოროწყუს | —„— | 6 |
| სამხრეთ ოსეთის ა/ო | | 5 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1974 წლის 18 იანვრის ბრძანებულების საფუძველზე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1977 წლის 30 ივნისის ბრძანებულებით მედლით „შრომის ვეტერანი“ დაჯილდოვდა 843 კაცი, მათ შორის:

| | | |
|---|---|---|
| ქ. თბილისის | პირველი მაისის რაიონში | 136 |
| —„— | კალინინის —„— | 115 |
| —„— | კიროვის —„— | 155 |
| ქ. ქუთაისში | | 40 |
| ქ. ჭიათურაში | | 39 |
| ადიგენის | რაიონში | 11 |
| ახალციხის | —„— | 71 |
| ბოლნისის | —„— | 3 |
| ზესტაფონის | —„— | 11 |
| თელავის | —„— | 7 |
| ლაგოდეხის | —„— | 41 |
| მაიაკოვსკის | —„— | 18 |
| მცხეთის | —„— | 39 |
| სამტრედიის | —„— | 78 |
| ყვარლის | —„— | 63 |
| წალენჯიხის | —„— | 13 |